მიხეილ ყაველაშვილი საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს

მიხეილ ყაველაშვილი საარჩევნო კოლეგიამ 224 ხმით საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს. .

პარლამენტის შენობაში ჩატარებული კენჭისყრის შედეგად დელეგატებმა პრეზიდენტად არაპირდაპირი გზით აირჩიეს „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებული ერთადერთი კანდიდატი, ყოფილი ფეხბურთელი და მეცხრე-მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი მიხეილ ყაველაშვილი.

კენჭისყრა ღია წესით ჩატარდა. ხმა ვერ პარლამენტის წევრებმა, შემდეგ კი კოლეგიაში მყოფი სხვა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებმა, ანბანური თანმიმდევრობით მისცეს.

ცესკო-ს თავმჯდომარემ შემაჯამებელი ოქმი პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილს გადასცა და საარჩევნო პროცესი დასრულებულად გამოაცხადა.

26 ოქტომბრის ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახული ოპოზიცია კენჭისყრაში არ მონაწილეობდა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 20 (10485) 17 დეკემბერი, 2024 წ. ფასი 1 ლარი.

„თავისუფლება რეჟიმის პატიმრებს“– საპროტესტო აქცია ოზურგეთში

ალიონი. 10 დეკემბერს, ქ. ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე შეიკრიბენ სამოქალაქო მოძრაობის აქტივისტები, მოქალაქეები, კულტურის მუშაკები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და ხელისუფლების ქმედებები გააპროტესტეს.

აქციის მონაწილეების მთავარი მოთხოვნა აქციებზე დაკავებული პირების გათავისუფლება და განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება იყო.

აქციის მონაწილეებმა მოქალაქეებს გაფიცვისკენ მოუწოდეს, ძალადობა დაგმეს და განაცხადეს, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების ფონზე პროტესტი ყველა მოქალაქის ვალდებულებაა.

აქციის მონაწილეებმა ჭავჭავაძისა და თემურ ბოლქვაძის ქუჩებზე თავისუფალი მსვლელობით ჯერ გურიის პოლიციის დეპარტამენტის შენობასთან გამართეს მცირე მიტინგი, ხოლო შემდეგ ოზურგეთის ადმინისტრაციული შენობის წინ გადაინაცვლეს.

რატომ არ მივიდნენ ლიხაურელები სკოპინგის ანგარიშის განხილვაზე?

ალიონი. 2 დეკემბერს, სოფელ ლიხაურში, ადმინისტრაციულ შენობაში შპს „ბეთლემი 2008“-ის მიერ ცემენტის საწარმოს მოწყობა-ექსპლოატაციის შესახებ სკოპინგის ანგარიში განიხილეს.

ჟურნალისტები, ლიხაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ოზურგეთი-ლიხაურის მარშრუტის მიკროავტობუსით მივედით. ჩვენს კითხვაზე მგზავრებისადმი, **იცოდნენ თუ არა მათ სოფელში ცემენტის საწარმოს მოწყობის თაობაზე სკოპინგის ანგარიშის განხილვის შესახებ, უარყოფითად გვიპასუხეს,** მხოლოდ ერთმა ქალბატონმა თქვა, რომ სოფლის ცენტრში რაღაც უნდა განიხილონო.

სამწუხაროდ, განხილვას ლიხაურიდან მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დაესწრო. განხილვაზე იყვნენ სოფელ მაკვანეთის წარმომადგენლები. **ჩვენს კითხვაზე, ხალხის მეტი რაოდენობა რატომ არ იყო სკოპინგის ანგარიშის განხილვაზე, ზოგი გაადიზიანა – აქ ლაშქარს ხომ არ მოვიყვანთო.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა სოფელ ლიხაურში **ნანა წითლიძემ** განაცხადა, რომ მერის წარმომადგენლებმა მაქსიმალურად იზრუნეს (პირადად, სოციალური ქსელითაც), რომ მოსახლეობა ინფორმირებული ყოფილიყო ამ განხილვის შესახებ, თუმცა **განხილვაზე მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მივიდა.**

– აქ ისე არავინ უნდა გაიგოს, რომ მე, რაკი ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ სოფელში, წინასწარ ვინმე ვნახე ან რაიმე დავუმალე ხალხს. შეხვედრა კიდევ იქნება და უფრო მეტ ლიხაურელს ნახავთ აქ.– განაცხადა წითლიძემ.

გარემოსდაცვითი დეპარტამენტის წარმომადგენლების თქმით, **სკოპინგის ანგარიშის განხილვის შესახებ შესაბამისი განცხადება იდო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ვებ.გვერდზე, ასევე სოფელ ლიხაურის მოსახლეობამ წინა დღით, მობილურების საშუალებით მიიღეს შეტყობინება ამ განხილვის შესახებ, რაც მათი აზრით საკმარისი ლონისძიება იყო მოსახლეობის ინფორმირებულობისათვის.**

სკოპინგის ანგარიშის გარშემო ისაუბრეს გარემოს დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა **ნინო კუჭაშვილმა** და **ანა ჩართოლანმა.**

როგორც საკონსულტაციო კომპანიის და შპს „მწვანე მრჩევლების“ წარმომადგენლებმა **გიორგი თევზაძემ** და **ლევან ოზბეთელაშვილმა** აღნიშნეს საწარმო კვაჭალათის ტერიტორიაზე, მდინარე აჭისწყლის აუზიდან **90 მეტრში იქნება განთავსებული, ნედლეულს თურქეთიდან ჩამოიტანენ და დღე-ღამეში 1200 ტონა ცემენტს აწარმოებენ.** საწარმო თვეში 15 სამუშაო დღეს იქნება **დატვირთული. წლიური წარმოება 216 000 ტონა ცემენტი იქნება.** პროდუქციის მისაღებად გამოყენებული იქნება ელექტროენერგია. საწარმოს ექნება დამჭერი ფილტრები.

უნდა აღინიშნოს, რომ საკონსულტაციო კომპანიის მიერ საწარმოს აგების შემთხვევაში მოსალოდნელი რისკების შესახებ ძალიან მწირად იყო წარმოდგენილი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა სოფელ მაკვანეთში, ლიხაურსა და ჭანიეთში **ბექა თოიძემ**

გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვიორეი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი

რეგისტრირებულია

ოზურგეთის რაიონულ

სასამართლოში 18. 11. 2004

№44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

„მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი
ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სახალხო დამცველი -მოვუწოდებ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს - მოახდინოს შესაბამისად სწრაფი და ეფექტური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება

„2024 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას 76 წელი შეუსრულდა. ამ დღეს განსაკუთრებული ისტორიული ღირებულება აქვს და სათავეს იღებს 1948 წლის 10 დეკემბრიდან, როდესაც გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია დაამტკიცა. ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო აქტის მიღებიდან 76 წლის შემდეგაც საქართველო, გამოწვევის წინაშე დგას, რათა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები თითოეული ინდივიდისთვის თანაბრად, თანასწორობის პრინციპების გათვალი-სწინებით იყოს დაცული და ხელმისაწვდომი.

ტრადიციულად, სახალხო დამცველი სპეციალურად ამ დღისადმი მიძღვნილი განცხადებით ხაზს უსვამს ყველა იმ ძირითად გამოწვევას, რომელიც ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით არსებობს. თუმცა წელს სხვადასხვა საკითხის შეფასების ნაცვლად, გადავწყვიტე იმ მთავარ და მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილო ყურადღება და გამოვეხმაურო, რაც ყველაზე მწვავეა.

28 ნოემბრიდან მოყოლებული, საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი აქტიურად ზედამხედველობს თბილისსა და საქართველოს რეგიონებში მიმდინარე საპროტესტო აქციებს, ჩვენ მუდმივ რეჟიმში ვაფასებთ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ ვითარებას.

როგორც უკვე არაერთ ჩემს შეფასებაშია აღნიშნული, გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებებია, რაც უნდა იქნას დაცული. თუმცა, ყველანი ვხედავთ, რომ შეკრების უფლების დაცვის კუთხით მთავარი გამოწვევა რაც ამ აქციებზე გამოვლინდა, არის, რომ მონაწილეთა მცირე ჯგუფის მიერ კანონდარღვევის ჩადენის საპასუხოდ ინდივიდუალური და პროპორციული ღონისძიებების გატარების ნაცვლად, სახელმწიფო და ამ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო მთლიანი შეკრებების დაშლაზე იღებს გადაწყვეტილებებს. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს – მსგავს შემთხვევებში გამოიჩინოს განსაკუთრებული ძალისხმევა და ინდივიდუალური, პროპორციული რეაგირებების განხორციელებით უპასუხოს ცალკეული პირების კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს.

შემდეგი საკითხი, რაც არაერთხელ შევაფასე, ეხება უშუალოდ დაშლის დაწყების შემდეგ ცალკეული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს, რაზეც აუცილებელია ჩატარდეს დროული და ობიექტური გამოძიება, რათა დაუსჯელობის სინდრომმა არ წაახალისოს კანონდარღვევები და კიდევ უფრო მძიმე შედეგები არ გამოიწვიოს.

უშუალოდ მე და ჩემმა რწმუნებულებმა 28 ნოემბერის შემდეგ დაკავებული და დაშავებული პირების მოსანახულებლად განვახორციელეთ ვიზიტები:

28 ნოემბრიდან – 10 დეკემბრის ჩათვლით მოვინახულეთ 327 აქციაზე დაკავებული და დაშავებული პირი.

მათგან, არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებს – 225 პირი.

ხილული დაზიანება აღენიშნება – 157 პირს.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს – მოახდინოს შესაბამისად სწრაფი და ეფექტური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

საზოგადოებისთვის ასევე ცნობილია, რომ 9 დეკემბერი არის ადამიანის უფლებათა დამცველების დღე. უფლებადამცველებს მიეკუთვნებიან ჟურნალისტებიც და წელს განსაკუთრებულად მათზე მინდა ხაზგასმა. მიმდინარე პერიოდში სამწუხაროდ, არაერთი ჟურნალისტი თუ მედიის წარმომადგენელი დაშავდა, რამდენიმე მათგანი ჯერ კიდევ სამედიცინო დაწესებულებაშია, მათ საქმიანობის განხორციელებაში შეეშალათ ხელი და მათ ფიზიკურ უსაფრთხოებას და სიცოცხლეს შეექმნა საფრთხე. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ საჭიროა ყოველი ეს შემთხვევა იქნას გამოძიებული და შესაბამისი პირები მიეცნენ პასუხისგებაში და სახელმწიფომ უზრუნველყოს ჟურნალისტების საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. ჩემი მხრიდან კი კიდევ ერთხელ თითოეულ თქვენთაგანს, ჟურნალისტს და ოპერატორს მადლობას გიხდით გაწეული საქმიანობისთვის.

და ბოლოს ადამიანის უფლებების დაცვასა თუ თითოეული ადამიანის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო და შესაბამისი ინსტიტუტები; დაუშვებელია ქუჩებში გაურკვეველი დაჯგუფებების მხრიდან ადამიანებთან ფიზიკური ანგარიშსწორება ან ასეთი დაჯგუფებების შექმნა ვითომ საზოგადოებრივი წესრიგის თუ მოქალაქეების დაცვის მიზნით. სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს აღნიშნულზე რეაგირება და არ დაუშვას ინდივიდებს შორის ფიზიკური თუ სხვა სახის დაპირისპირებები და ადამიანის უფლებების დარღვევა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს.

სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა მოადგილე თორნიკე ტიკაძესთან და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძესთან ერთად ჩიბათისა და ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაათვალიერა.

სოფლებში ხიდებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრების მოწყობა აქტიურად გაგრძელდება და წლის ბოლომდე, საამისოდ 5 მლნ ლარი დაიხარჯება.

ჩოხატაურში ზოტის ცენტრალური გზა სრულად რეაბილიტირდა

ორფენიანი ასფალტის საფარი დაიგო გზის 3 კმ-მდე მონაკვეთზე.

პროექტი მთის განვითარების ფონდიდან დაფინანსდა, რომლის ღირებულებაც 1 მლნ 514 195 ლარია.

აღნიშნული გზის რეაბილიტაცია გასულ წელს დაიწყო და ჯამში 5 კმ შეადგინა.

დასრულებული სამუშაოები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შარაშიძემ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შიდა გზების რეაბილიტაცია აქტიურად გრძელდება

სამუშაოები ამ დროისთვის ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს, რომელსაც კომპანია „პალადა“ ასრულებს.

სამუშაოები გარდამავალია და მომავალ წელს დასრულდება.

პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2 182 636 ლარით ფინანსდება.

სოფელ ჯურუყვეთში მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა მოადგილე თორნიკე ტიკაძესთან და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძესთან ერთად დაათვალიერა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შიდა გზების რეაბილიტაცია აქტიურად გრძელდება.

სამუშაოები ამ დროისთვის ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს, რომელსაც კომპანია „პალადა“ ასრულებს.

სამუშაოები გარდამავალია და მომავალ წელს დასრულდება.

პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2 182 636 ლარით ფინანსდება.

რატომ არ მივიდნენ ლიხაურელები სკოპინგის ანგარიშის განხილვაზე?

მოითხოვა საკითხის დაკონკრეტება. უპირველეს ყოვლისა კი, დასვა კითხვა, **ჯანმრთელობის საკითხი უპირველესია და როგორ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ეს ადამიანების ჯანმრთელობაზე გავლენას არ მოახდენსო.**

განხილვა მწვავედ წარიმართა.

– რა სკოპინგი? ექვთიმეს სოფელს შეეშვით. ლიხაური ექვთიმე თაყაიშვილის სოფელია. აქ ეკლესიებიც გვაქვს, აჭისწყალიც, ექვთიმეს მუზეუმიც და ლუკმასაც ვჭამთ. არ გვშია და არ გვწყურია. თავი დაგვანებეთ. წაიღეთ ეს საწარმო და სადმე ლეკიანში დადგით. ასორმოცდაათი ჰექტარია იქ დაუსახლებელი ფართობი. ჯერ იყო და აჭისწყალს ფსკერი გამოუღეს ძლივს მოვიშორეთ აქედან ვიღაც ფულის საშოვარზე მოსულები. დაგვანებეთ თავი. სტუმარი გვიყვარს. როცა გსურთ, მობრძანდით, მაგრამ ამ საქმეში ლიხაური არ დაგეთანხმებათ. მე მხარი დავუჭირე მთავრობას. ზოგი ადგება და ნაციონალს მიძახის, რაკი კრიტიკულად შევხედავ ამა თუ იმ საკითხს. **არ გვჭირდება აქ ცემენტის ქარხანა,** –განაცხადა ლიხაურელმა **გაიოზ გორდელაძემ.**

– ჩემს უბანს –ვაშტიალს ნაკლებად ეშუქრება ეკოლოგიური საფრთხე, მაგრამ **კვაჭალათიც ჩვენი სოფლის ნაწილია. 250 ჰექტარი არის ჩოლოქთან თავისუფალი სივრცე და წადით, იქ ააშენენეთ,** –განაცხადა **დათო ვაშაყმაძემ.**

–ვინ სცა პატივი სოფელ ლიხაურს, ეს რომ უნდა აშენდეს? „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“. მე გავიცდი, როცა ჩემს ბავშვებს, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებს დაუსაქმებელს ვხედავ. რა თქმა უნდა კარგია, თუკი ამ ახალგაზრდებს დავასაქმებთ, მაგრამ აქ წარმოდგენილი მოხსენებითი რისკები არაფერს **არ მეუბნება – ეს არის ისეთი საწარმო, რომელიც 10 წლის შემდეგ გამოიღებს შედეგს. წინააღმდეგი ვარ იგი დასახლებულ უბანში აშენდეს** – განაცხადა პედაგოგმა **გულჩინა გოთუამ.**

–ლიხაური დიდი ექვთიმეს მშობლიური სოფელია. აქ არის უძველესი ტაძრები, სხვა ისტორიული ნაგებობები. **ეს არის ტურისტული ზონა, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტია. ინერტული მასალების უკონტროლო მოპოვების შედეგად, მდინარე აჭისწყალი ისეთ მდგომარეობაშია, იქ კალმახი მოსპეს. კი აქვს დამსახურება იმდენი ექვთიმე ღვთისკაცს,ამ სოფელს ყველა ომში, ეროვნულ მოძრაობაში, რომ ასეთი საწარმო არ გაკეთდეს** –თქვა ლიხაურელმა **ჯანიკო გორდელაძემ.**

–როცა ლიხაურში მასშტაბური პროექტით მოდიხარ, სოფელში გვაქვს ლიმონი, მანდარინი, მოცვი, ხილი, რას ავაშენებდი ჩაის ფაბრიკას თუ წისქვილკომბინატს? **6 შვილი და 8 შვილიშვილი მყავს და მინდა მათ სუფთა გარემოში იცხოვრონ. როცა საწარმოს აშენებ, სასწორზე დევს –ზიანი თუ სარგებელი. სარგებელი უნდა ჰქონდეს სოფელს** –განაცხადა საკრებულოს დეპუტატმა **ნათია ღაჟონიამ.**

შპს „ბეთლემი 2008“-ის წარმომადგენელმა **ილია კეჭაყმაძემ** განაცხადა, რომ **საწარმოს აგების შემთხვევაში დაასაქმებენ 30 ადამიანს, ახალგაზრდების თხოვნით კვაჭალათის უბანში გახსნიან სამლოცველოს, მოაწყობენ სკვერს და ფეხბურთის მოედანს. ასევე მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების განხორციელებაში. მისი თქმით სოფელს არ ემუქრება ეკოლოგიური საფრთხე, რადგან ისინი ცემენტის მისაღებად ეკოლოგიურად სუფთა მასალას თურქეთიდან მიიღებენ.**

ლიხაურში საწარმოს მშენებლობის შესახებ თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს ლიხაურელმა ფერმერმა **ავთო ვაშალომიძემ,** მაკვანეთელებმა **მერაბ ვასაძემ** და **რეზო ჭეიშვილმა**.

– **„წვენების და კონსერვის ქარხანა ააშენონ, რატომ გვტენიან ცემენტის ქარხანას? ლიხაურში ცემენტის ქარხანა არ დაიდგმება. შემდეგ განხილვაზე 200 კაცი მოვა და ეს საკითხი მაშინ გადაწყდება“** –განაცხადეს ლიხაურელებმა.

გაზეთი „ალიონი“ გარემოს-დაცვითი სათეო ორგანიზაცია **„ეკოს“** შენიშვნებსა და რეკომენდაციას გაეცნო.

როგორც ამ შენიშვნებსა და რეკომენდაციებშია აღნიშნული, „სოფლის მცხოვრებთა შემოსავალი დიდწილად დამოკიდებულია **ტურიზმსა** და **დასვენებაზე.** სოფელში არის სასტუმროები, მათ შორის საოჯახო ტიპის.ლოკაცია, სადაც იგებმება საწარმო, ამოქმედების შემთხვევაში, პრობლემას შეუქმნის სოფელ **ლიხაურის, მაკვანეთის** და **ექადიის** დასახლებას. **ამ დასახლებათა მოსახლეობა წინააღმდეგია მსგავსი საწარმოს ამოქმედების და მომზრეა მოიძებნოს სხვა ალტერნატიული ადგილი.**

მართალია, **სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ** მოსახლეობა საწარმოდან დაშორებულია 370 მეტრით, მაგრამ ეს ყოვლად დაუშვებელია, **რადგან სოფლის ეს უბანი –კვაჭ-ალათი – მჭიდროდ დასახლებულია და თან სოფელ ლიხაურის დასაწ-ყისია.**

სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ელექტრონული (maps.Municipal.gov.ge) გადამოწმებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მათ შორის საპროექტო ტრიტორიაზე მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არსებობა არ დასტურდება. შესაბამისად–საქართველოს კანომდებლობით განსაზღვრულ საცხოვრებელ, ლანდშაფტურ, სარეკრიაციო ან/და სატყეო ზონებთან საქმიანობის ან/და მისი განხორციელების ადგილის თავსებადობის საკითხი შეფასებას არ საჭიროებს.

მიწათსარგებლობის გენგეგმები არ აქვს საქართველოს მუნიციპალიტეტების დიდ ნაწილს. **გაუგებარია, გენგეგმების არარსებობა რატომ ათავისუფლებს კომპანიას მის მიერ დაგეგმილი პროექტის თავსებადობის შეფასებისაგან** საპროექტო ტერიტორიის–სოფელ ლიხაურის–განვითარებისა და მოთხოვნების მიზნებთან?

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი **გარემოზე მავნე გავლენის პირველადი შეფასება, როგორც ეს მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით სკოპინგის ეტაპისათვის.**

სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ექსპლოატაციის ეტაპზე მშრალ და ქარიან ამინდში ტერიტორია მოირწყვება. მაგრამ სხვა მსგავსი საწარმოების პრაქტიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს ვალდებულება არ იქნება შესრულებული და არც მაკონტროლებელი ორგანო არ ან ვერ შეამოწმებს შესრულებას. ეს განამტკიცებს მოსახლეობის მოთხოვნას საწარმოს სხვა, მოსახლეობიდან დაშორებულ ადგილზე დაგეგმვის შესახებ.

ანგარიშში მოხსენიებულია ანგარის ტიპის გადახურული შენობა. როგორია ეს შენობა გადახურული?

ანგარიშში არაფერია ნახსენები უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონი-ტორინგის სისტემის შესახებ; ექნება თუ არა საწარმოს ეს ხელსაწყო დამონტაჟებული და გამოფრქვევის რომელ წყარეებზე?

გაუგებარია, **რა ინტენსივობით შეიცლება ფილტრები? მოხდება თუ არა ფილტრაციის რეგულარული მომსახურება** (მაგ. ფილტრების შეცვლა) და **მკაცრი მონიტორინგი?**

ანგარიშის 50-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ **მავნე ნივთიერებათა გაბნევის პარამეტრის გათვალისწინებით, მოსალოდნელი ემისიები ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას არ/ვერ იქონიებს(?!) ეს აბსურდული ჩანაწერია, რადგან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, არ არსებობს მტვრის ისეთი კონცენტრაცია, რომელიც მავნე არ არის ადამიანის ჯანმრთელობისათვის. შესაბამისად, ცემენტის მტვერზე, მით უმეტეს ვერ ვიტყვით ამას.**

ნედლეულისა და მზა ცემენტის ტრანსპორტირება დამატებით რისკს ქმნის მტვრის გაფრქვევისათვის.

ამ და სხვა შენიშვნებით ლიხაურელები გზშ-ს განხილვის მოლოდინში არიან.

საქართველოში საარსებო შემწეობას 685 942 ადამიანი იღებს

2024 წლის ნოემბერში საქართველოში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 6.4%-ით გაიზარდა და 685 942 ადამიანი შეადგინა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკით, აქედან 457 574 ადამიანი მხოლოდ საარსებო შემწეობის მიმღებია, ხოლო 228 368 დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირია, რომელთაც 4 წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველის სტატუსი გარანტირებულად შეუნარჩუნდებათ.

აღსანიშნავია, რომ წინა წლის ანალოგიურ პერიოდში შემწეობას 644 676 პირი იღებდა. აქედან 439 792 ადამიანი მხოლოდ საარსებო შემწეობას იღებდა, ხოლო 204 884 კი დასაქმების პროგრამაში იყო ჩართული.

როგორ აისახება ექსპორტის მომსახურების გაძვირება ავტობაზარზე

„მომსახურების გაძვირება ავტოიმპორტიორებზე აისახება,მიუხედავად იმისა,რომ ეს პირდაპირ გადასახადი არ არის“,- ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსთან“ ავტოიმპორტიორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ალექსი ნონიაძემ განაცხადა.

შეგახსენებთ, „ქართული ოცნება“ განიხილავს კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც, ერთი ავტომობილის ექსპორტისა და რეექსპორტის გადასახადი 150 ლარის ოდენობით გაძვირდება. პარლამენტი ცვლილებების შედეგად, წლიურად ბიუჯეტის 15 მილიონი ლარით ზრდას მოელის. კანონპროექტის მიხედვით, ცვლილებების ამოქმედება 2025 წლის 1-ელი იანვრიდან იგეგმება.

როგორც ნონიაძე განმარტავს, ნორმალურ სიტუაციაში ხდება გადასახადის გადამისამართება და მომატებული ფასი მყიდველის გადასახდელია, თუმცა, დაბალი მოთხოვნისა და ჭარბი მიწოდების ფონზე დილერი იძულებული იქნება, რომ ავტომობილების ფასი შეამციროს, რათა მანქანების გაყიდვა უზრუნველყოს. ამ მდგომარეობაში კი გამოდის, რომ მსგავს სიტუაციაში მომატებული ფასის გადახდა დილერის ხარჯზე მოხდება.

„ნებისმიერი მომსახურების გაძვირება, ბუნებრივია, ავტოიმპორტიორებზე აისახება, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირ გადასახადი არ არის. ამას არ იხდის ავტოიმპორტიორი და საქმე გვაქვს გადასახადის გადამისამართებასთან მყიდველისკენ.

ეს პირდაპირი გადასახადი არ არის ავტოიმპორტიორებისთვის, ამ გადასახადს იხდის მყიდველი, მაგრამ როდესაც

მოთხოვნა ნაკლებია, ხოლო მიწოდება მეტი, ამ გადასახადის გადამხდელი გამოდის დილერი და არა მყიდველი. კერძოდ, გაზრდილი გადასახადების და თვითღირებულების ფონზე, მანქანის გამყიდველმა რომ ავტომობილი გაყიდოს, იძულებულია, ფასდათმობაზე წავიდეს. გამოდის რომ ერთი შეხედვით იხდის მყიდველი,მაგრამ რეალურად მომატებული გადასახადის გადამხდელი დილერია“, - განაცხადა ალექსი ნონიაძემ.

„სამუზეუმო მეხსიერების სალაროდან“

2024 წლის დასაწყისში ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმის გამგე რუსლან ურუშაძე მომეთათბირა, ლამის დავწყებას მიცემული ნიჭიერი მწერლის, ეგნატე ნინოშვილის აქტუალობას – კარგი საბაბიც გვაქვსო, – მითხრა, - მაისში 130 წელი სრულდება მისი გარდაცვალებიდანო!..

რა მასშტაბის მანიფესტაციად იქცა მისი დაკრძალვა –ამაზე ბევრია დაწერილი, და მკვლევართათვის არც დღეს არის ინტერესი განლეტული „მესამე დასის“, მანამდე ჩვენში უცხო, მკვეთრად გამოხატული პარტიული აზვირთების პერიპეტიების მიმართ.

გაზეთი „ალიონი“ ცდილობს მკითხველთა ახალი თაობის ინტერესი დააკმაყოფილოს და არაერთი კვლევა გამოქვეყნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) შესახებ.

ნუგზარ ასათიანი

მეც იმ ოზურგეთელებს შორის ვარ, სიამაყით და აღტაცებით რომ შეხვდნენ ჩვენს წარმტაც ქალაქში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის დაფუძნებას. ვხარობ მისი საქმიანობით; აქ მოღვაწე ადამიანებთან მჭიდრო კავშირში ვარ, და ვიცი იმ პერსპექტივების შესახებ, მომავალში რომ გველოდება. კულტურის ახალ კერას გულითადი მხარდაჭერა სჭირდება და ამასაც თვალნათლივ ვხედავ. ზედმეტად არ გადაგღლით ამ კოლექტივის ქებადიდებით, მაგრამ იმას კი გავიხსენებ, როგორ ყოველმხრივ შეეწეოდნენ ლიხაურში ახალდაფუძნებულ ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმს. თანდათან ასაკი მოგვემატა (2010-ში გაიხსნა), მოვლონიერდით, თუმცა თანადგომა როდის ყოფილა ზედმეტი! ასეა კიდეც. ამიტომ, გულწრფელ მადლობას ვუხდი იმ მრავალრიცხოვან კრებულს, საქართველოს გაუხუნარი კულტურის სამსახურის ფერხულში რომ დგანან.

და აი, ახალი „დავალება“ მივიღეთ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ავთანდილ სურგულაძისაგან – რაიმე ძველსა და საინტერესოს ხომ არ შევთავაზებდით სამუზეუმო მეხსიერების სალაროდან.

წელს 130 წელი შესრულდა ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებიდან.

ამასთან დაკავშირებით ბევრი ამბის გახსენება შეიძლება, რაც ცალკე უნდა გაკეთდეს. მე კი შემკვეთებს მივაწვდი მათთვის ორგანულ წერილს ნინოშვილის სახლ-მუზეუმის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და (გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან) გამორჩეული ეთნოგრაფის **მიხეილ ვადაჭკორიას** (გიორგი ჩიტაიას მოწაფე იყო) მემკვიდრეობიდან. იგი ეგნატეს მემორიალს 41 წელი დირექტორობდა. ვინ მოთვლის, რამდენი დავიწყებისთვის განწირული ამბები თუ ეპიზოდები შეკრიბა-გამოამზეურა. ერთი კი სწორედ ესაა, ფოლკლორის ცენტრს რომ ვთავაზობ. იგი გადმობეჭდილია ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის შემდეგი თაობის ძვირფასი მზრუნველისა და მცველის ქ-ნ ზოია ტულუშის წიგნიდან „ეთნოგრაფიული მასალები ნინოშვილის მუზეუმის ფონდიდან“. ნაშრომი 2017 წელს გამოვიდა და მყისვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ასე რომ, ფოლკლორისტიკის სტიქიონში მაშვრალთათვის მეტად საინტერესო უნდა იყოს. დავძენ მხოლოდ, რომ ტექსტი ეთნოგრაფიულ – დიალექტოლოგიური ნიმუშია, რაც განსაკუთრებულ მომხიბვლელობასაც სძენს. ჩაწერის ზუსტი თარიღი ეთნოგრაფს მითითებული არა აქვს, ისტორიები კი თითქმის საუკუნის წინანდელია.

დასასრულ, მკითხველს წარსულ დროსა და სივრცეში გატაცებით მოგზაურობას ვუსურვებ; გვეამყოს ჩვენი წინაპრებით, მათ დანატოვარზე მარადის ომახიანი სიმღერით გვეშენებინოს!

რუსლან ურუშაძე,
ლიხაურში ექვთიმეს მუზეუმის
გამგე

როდის და როგორ გამასიურდა ჩანგური

1927 წელს სადგურ სუფსაში შევხვდი ჩემს ბიძაშვილს აქვსენტი მეგრელიძეს. რომ შევხედე, ძალიანი დამწუხრებული იყო. ვიცოდი იმის მიზეზიც, ხუთი შვილების დედ-მამა ერთმანეთს გაშორდნენ მე ვთხოვე, ცოტა ხანს ჩემთან დარჩენილიყო. მანაც დამეთანხმა და მისი ორი ქალიშვილით წამოვიდა ჩემთან.

მე სიმღერა მიყვარდა, გუნდის შედგენაზე ოცნებობდი, ეხლა რაკი ეს დახელოვნებული ლოტბარი ჩამომივარდა ხელში, ყოველი ღონე ვიხმარე, რომ ეს კაცი არ გამეშვა და ასეც მოხდა, მისი უნცროსი ქალიშვილი 7 წლის ლალა შევიყვანეთ სუფსის პირველდაწყებით სასწავლებელში.

სუფსის სკოლის მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, ოქტომბრის დღესასწაულზე გამოსულიყვნენ სიმღერით. ამისთვის სთხოვეს ამავე სკოლის მასწავლებელს **ანასტასია კეჭაყმაძეს**, რომელიც სიმღერის მცოდნე იყო, რომ ესწავლებია მათთვის რამდენიმე სიმღერა, ანასტასიამ უთხრა, თუ სიმღერის სწავლა გინდათ, მიმართეთ **ილიკო გუჯაბიძეს,** ის არის დახელოვნებული ლოტბარი და ის გასწავლითო. მოვიდნენ ჩემთან ს. გიორგობიანი, ს. გურგენაძე და თავართქილაძე, სთხოვეს მეგრელიძეს, ორი – სამი სიმღერა გვასწავლეთო. მეგრელიძემ კატეგორიული უვარი უთხრა. ისინი ნაწყენი წავიდნენ.

მე მაინც ჩემი განზრახვის იმედი არ დამიკარგავს. ყოველ ორ დღეში საღამოობით დაუძახებდი ჩემს ამხანაგებს და ვმღეროდით ჩემსას. მინდოდა გამეღვიძებია მეგრელიძეში სიმღერის სურვილი. ოქტომბრის დღესასწაულის შემდეგ ველაპარაკე სუფსაში გუნდის ჩამოყალიბებაზე. დიდი უვარის შემდეგ რომ აღარ მოვეშვი, მითხრა, თქვენ იცით რვა-კაციანი გუნდი, ეს არ კმარა, გუნდი უნდა იყოს ორმოცი ან მეტი კაცისაგანო. მე დავტრიალდი, ჩამოვიარე სოფელი და ას კაცზე მეტს მოვაწერეე ხელი. ვაჩვენე სია მეგრელიძეს, აი, რამდენი მსურველია-მეთქი.

-ჰო, კი შეძლებულაო, – მითხრა.

მე, ეს საქმე ლოტბარისთვის ადვილი მეგონა და წინადადება მივეცი ეხლავე დავიწყოთ მეცადინეობა-მეთქი. მან მითხრა, ეს საქმე ასე ადვილი არ არისო, ჯერ სიმღერები უნდა ჩავწეროთ ნოტებზე და სწავლება კი მერმე უნდა დავიწყოთო.

- აბა, ჩავწეროთ-მეთქი.
- ამას ინსტრუმენტი უნდაო.
- რა ინსტრუმენტი, სიმღერას თოხი არ სჭირდება და ბარი-მეთქი.

მან გამიცინა და მითხრა, ბარი და თოხი ადვილი საშოვნელია, ამას სჭირდება პიანინო, ან ფიზგარმონია. ჩვენ პიანინოს ვერ ვიშოვით, რადგან ძვირია, უნდა ვიშოვოთ ფიზგარმონია.

წავედით ფოთში **მიხეილ ხაფთასთან**. იმას ქონებია დიდი ფიზგარმონია, დაგვიფასა სამასი მანეთი. მე იმის ყიდვა ვერ შევძელი. ხავთასმა მეგრელიძეს აჩუქა ერთი ვიოლინო და ნოტები, რომელშიც იყო სიმღერები: „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“, „მიდის გემი“, „შევსვათ ხელადით ღვინო“ და „საცეკვაო“. მერმედ წავედით ბათუმში. ვერც ბათუმში ვიშოვეთ გასაყიდი ფიზგარმონია, მხოლოდ იქ გავიგეთ, სოფელ ახალ საყდარს (ეხლა თხინვალი) ყოფილა ვიღაც მასწავლებელი, რომელიც გარდაიცვალა და მას ქონებია პატარა ფიზგარმონია. მისი დაი ყიდისო. დავიქირავე ორი ცხენი, წავიყვანე მეგრელიძე და წავედით. ვნახეთ დაზიანებული იყო, მაგრამ მეგრელიძემ თქვა, ჩვენთვის გამოდგებაო. მოურიგდი ასოც მანეთად. მე ფული არ მქონდა, ერთი უღელი ხარი მყავდა, გავყიდე ოთხმოც მანეთად. ორმოცი მანეთი ვისესხე პროცენტით. თვეში ვაძლევდი პროცენტს ორ მანეთს და ორმოც კაპიკს.

მიუტანე ეს ფული, და ფიზგარმონია წამოვიღე, რომელიც დღესაც ჩემთან არის. შეუდექით სიმღერების ჩაწერას. სიმღერების ჩასაწერად მომყავდა ჩემი ამხანაგები: **1. პავლე მიქაშავიძე 2. ვანო გიორგაძე 3. დომენტი ჩხარტიშვილი 4. ალფესი გურგენაძე 5. ვალენტი ქილიფთარი 6. განსვენებული იოსებ ვასაძე 7. ლუკა მყავია 8. არტემ გოგუაძე 9. ქრისტიფორე ჯიჯიეშვილი 10. შრომისთემიდან გოგი მყავანაძე 11. სანდრო ჯაყელი 12. მოსე ჭანკელიძე,** მე და ჩემი ძმა **ტიტიკო.** ყოველ დღე მასან ვიყავით და სიმღერებს ვაწერიებდით (ჩემი ძმა ტიტიკო კარგათ მღერის გურულ სიმღერებს და ჩონგურსაც უკრავს). აი, ამ ხალხისგან დაიწერა ნოტებზე მთელი რიგი გურული სიმღერები. **ა. მეგრელიძემ** როცა სიმღერების ჩაწერა მოათავა, დაიწყო ხალხის შემოწმება. ასოცი კაცისა და ქალისგან მხოლოდ სამოცდახუთს აღმ-ოაჩნდა დამაკმაყოფილებელი ხმა და სმენა. დავიქირავეთ სამეცადინო ბინა, შევკრიბე მომღერლები და პირველ ღამეს ჩავატარეთ თათბირი, ავირჩიეთ გუნდის გამგეობა შვიდი კაცისგან. სანამ მეცადინეობას დავიწყებდით, სუფსის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ **გერმანე გუჯაბიძემ** მეგრელიძეს შეეკითხა: თუ რისთვის ასწავლის ამ გუნდს სიმღერებს უსასყიდლოდ. მეგრელიძემ უპასუხა: მე ჩემმა მამიდაისშვილებმა ტიტიკომ და ილიკომ მაიძულეს, რომ ეს საქმე დამეწყოვო. კიდევ შეეკითხა გუჯაბიძემ. უსასყიდლოდ რომ ასწავლი, ჭამა არ გინდაო? მე ჩემი სარჩო პენსია მაქვსო, – უპასუხა მეგრელიძემ. ამის შემდეგ მეგრელიძემ დაანაწილა ხმები: პირველი ხმები მარჯვნით, მეორე ხმები მარცხნით. ბანები შვაში და დაგვაწყებია ყველასთვის ცნობილი სიმღერა „ნანინავდა“. მთელი ზამთარი ვიმეცადინეთ, ყოველ ღამე სამ-სამი საათი და შევისწავლეთ მთელი რიგი სიმღერები: როგორც გურული, ისე მეგრული, ქართკახური, სვანური და რამოდენიმე ევროპულიც. ჩემი პროგრამა მდიდარი იყო რეპერტუარით. ერთი მაშვინდელი პროგრამა ეხლაც ჩემთან ინახება. გაზაფხულზე მივეცით კონცერტი სუფსაში. ეს იყო 1928წ. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მაყურებლებში ჩვენმა კონცერტებმა.

იმავე წელს მოხვდა ოზურგეთში (ეხლა მახარაძე) მასწავლებელთა სამაზრო კონფერენცია. იქ მიგვიწვიეს. კონფერენცია გავხსენით ინტერნაციონალით.

კონფერენციის დახურვის შემდეგ მივეცით კონცერტი.

მეორე დღეს გურული სიმღერის დიდმა ოსტატმა სამუელ ჩავლეიშვილმა ეჭვი შეიტანა და ასე გვითხრა: მეგრელიძე თქვენ გატყვილებსო, გურული სიმღერები როგორც მან, ისე თქვენც იცით და მღერით, თორემ მეგრელიძეს ეს სიმღერები ნოტებზე დაწერილი არ აქვსო:

ეს რომ უთხარი, მეგრელიძეს გაეცინა და სთქვა, მოვიდეს რაიმე ურცხო სიმღერა ეცოდინება და დამაწერიოსო: მართლაც ასე მოვიქეცით. წავედით იქავე **ბეჟან ხუნდაძისას,** რადგან იქ პიანინო იყო. წავიყვანეთ **ჩავლეიშვილი** და დააწერინა სიმღერა „ნინა“. მართლაც ჩვენთვის ახალი სიმღერა იყო, მაგრამ ძალიან ადვილი.

მოედანზე იყო ეკლესია, ახალგაუქმებული, მოვიყვანეთ მისი გამგე, გაგვიღო კარები. გამოუძახეთ ბაზარში გაბნეულ ამხანაგებს და სახელდახელოდ შეგვასწავლა მეგრელიძემ ეს ახალი სიმღერა. იმ ღამეს ჩვენი კონცერტი იყო, კონფერანსი მე ვიყავი, კონცერტის დასასრულს აუდიტორიას მოვახსენე „ნინას“ დაწერის ამბავი, ეხლა ჩვენი გუნდი ამ სიმღერას შეასრულებს-მეთქი. შევასრულეთ ეს სიმღერა. დიდი ოვაცია გაგვიმართეს და კიდევ გაგვამეორებიეს. ფარდა დაიხურა. ჩავლეიშვილი ამოვიდა სცენაზე, მეგრელიძეს ჩამოართვა ორივე ხელი და უთხრა: *ვენაცვალე ამ ხელებს, აწი გურული სიმღერები არ დაიკარგებაო. მზად ვარ, შენ გუნდში ვიყო, როდესაც გამომიძახებო:* მეგრელიძემ ბათუმში გამართა საჩვენებელი კონცერტი, სადაც ოთხი დამკვრელები ჰყავდა ვიოლინოთ და ვიოლინჩელოთ, ჩვენ მიერ ნამღერ სიმღერებს დამკვრელები ასრულებდნენ უჩვენოთ ინსტრუმენტებზე. ამ კონცერტს ესწრებოდა **მელიტონ ბალანჩივაძე, არტემ ერქომაიშვილი**. მაშვინ ჩავლეიშვილი ჩვენ გუნდში იდგა, როგორც ერთი რიგითი წევრი. მახარაძეში ყოფნის დროს სურათიც გადაიღეს, რომელიც ამჟამად ჩემთან არის

სუფსის გუნდის ხმა გავარდა. თბილისიდან შესამოწმებლად გამოგზავნეს კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი, რომელმაც ეს გუნდი ძალუანი მოიწონა, სადაც კონცერტს ვატარებდით, ფოცხვერაშვილი შესავალი სიტყვით გამოდიოდა.

როდესაც რამოდენიმე კონცერტი მივეცით, მეგრელიძემ მითხრა (გუნდს ტექნიკურად მე განვაგებდი): მოდი, ჩანგური ვასწავლოთო. მე სახლში მქონდა ჩანგური, დამაკვრევინა ერთი უბრალო მელოდია და მან ნოტზე გადაიტანა. გამომართვა ჩანგური. დახედა ნოტზე და დაუკრა ისე, როგორც მე უკრავდი(მე ვიცოდი ხუთი სიმღერა ჩანგურზე). მეგრელიძემ მითხრა: სადმე კიდევ ვიშოვნოთ ჩანგური.

მე სუფსაში ჩანგური არ მეგულებოდა. ვიცოდი, ჩოჩხათში ჩემი სიმამრისას იყო ერთი ჩანგური, ავედი ჩოჩხათში, ვნახე ჩანგური გატეხილი, შევეკითხე, ხომ არ იცით ვინმემ ჩანგური-მეთქინ. იგინმა მასწავლეს: პართენ ჭანტურიას ოჯახში იყო ერთი ჩანგურიო. წავედი ჭანტურიას ოჯახში, ვნახე ჩანგური, ისიც გატეხილი. გამოვართვი, სასყიდელი არ მიმიცია, ისე წამოვიღე ორი ჩანგური. ჩამოვიტანე სუფსაში, შევაკეთებიე დურგალს, მოვიტანე ოჯახში. ავიღეთ ერთი მე, ერთი – ჩემმა ძმამ – ტიტიკომ და მესამე მეგრელიძემ. დაუკარით სამივემ ის მელოდია, რომელიც მეგრელიძეს ქონდა დაწერილი ნოტებზე და ძალიანი მოგვწონა. ამის შემდეგ წავედი აცანაში. დაუკვეთე იქ პავლე ქინქლაძეს თორმეტი ჩანგური და ეს გუნდი თუთხმეტი ჩანგურით და მისი დამკვრელებით წავსდექით 1929 წელს საქ. ოლიმპიადაზე და შეფასებაც კარგი მივიღეთ. ჩვენ ჩვეული ვიყავით ერთი ჩანგურის დაკვრას. მასიურად კი არ უკრავდით, სწორედ აქვსენტი მეგრელიძემ სუფსაში შამოიღო მასიურათ ჩანგურის დაკვრა, რაც შემდეგში დიდათ გავრცელდა საქართველოში და დიდი პოპულიარობით სარგებლობს.

თბილისში ოლიმპიადაზე რომ ვიყავით, ერთ ბინაში ვმეცადინებდით. შამოვიდა ერთი მაღალი კაცი – თურმე იყო იურისტი **პარმენ საბაშვილი,** კეთილშობილი, განათლებული და სიმღერის მოყვარული. „ხასანბეგურას“ ვიმეორებდით. ლექსს ვამბობდით გუგუნავას „თამარიანიადან“ ამოღებულ კუპლეტებს, საბაშვილმა ჩვენი გუნდი ძლიერ მოიწონა და გვითხრა ხასანბეგურას თავისი ლექსი აქვსო და გვითხრა ზეპირათ „ხასან ბეგი თავდგირიძე“. მე მანამ ეს ლექსი არ მქონდა გაგონილი და არც არავინ ამ ლექსს არ მღეროდა.

ამის შემდეგ ეს ლექსი გავრცელდა ხასანბეგურაზე და დღეს ყველა ამ ლექსს მღერის. მეგრელიძე მე დიდათ მაფასებდა. იხ. გაზეთი **„ბუშა“** 106, 10. V. 1937 წელი.

აი, რას წერს **მეგრელიძე:**

„მეჩანგურეთა ანსამბლი საქართველოში პირველად ჩამოყალიბდა გურიაში სოფ. სუფსაში ჩემი ხელმძღვანელობით. ამ საქმის პირველი ინიციატორი ჩემთან ერთად იყო ამხ. ი. გუჯაბიძე 1927 წელს, როცა სუფსაში დავიწყე ეს საქმე. თვითონ მომღერალმა და ჩანგურზე დამკვრელმა გუჯაბიძემ დიდათ შემიწყო ხელი ამ საქმეში და ჩამაწერინა მრავალი სიმღერები. გუჯაბიძის ოჯახში თავს იყრიდნენ აგრეთვე ადგილობრივი მომღერლები. მე ამათი დახმარებით შევადგინე მომღერალთა გუნდი და მეჩანგურეთა ანსამბლი, რომელმაც 1929 წ. საქ. ოლიმპიადაზე პირველი ჯილდო მიიღო.

აქვსენტი მეგრელიძე“.

1930 წელს გადავედი ბათუმში რკ/გზის სადგურში მორიგე აგენტათ. მეგრელიძეც ბათუმში გადმოვიდა. ბათუმში რკ/გზის კლუბთან ჩამ-ოვაყალიბე გუნდი ოცდათორმეტი ქალი და კაცისაგან, რომელშიც შედიოდა ბათუმის რკ/გზის სადგურის უფროსის მოადგილე **მიშა ჩხარტიშვილი,** გურიაში კარგად ცნობილი და გურული სიმღერის უბადლო შემსრულებელი **სამუელ ჩხიკვიშვილი,** გურული სიმღერის კარგი მცოდნე **ეფრემ ბერსენაძე,** იუმორისტი მეჩონგურე **ისიდორე მოისწრაფეშვილი** და სხვები. აქაც მეგრელიძე მოვიწვიე მასწავლებლად, მეგრელიძემ იმდენი იმუშავა, რომ ერთი კონცერტი გაუშვით რკ/გზის კლუბში და მერე მიატოვა, რადგან გუგუშვილთან (კლუბის გამგეა) უსიამოვნება მოუვიდათ, მიუხედავად იმისა, რომ მე სიმღერა, ჩანგური და გალობაც ვიცოდი. გალობა სუფსაში მქონდა ნასწავლი გაბრიელ სარჯველაძესთან.

ცხრაასიან წლებში, როცა ფილიმონ ქორიძე გურიაში აგროვებდა სიმღერა-გალობას და გადაჰქონდა ნოტებზე, მაშინ სიმღერის მოყვარულმა ჯაბა, **ვასტანგი** და **ტელემაკ გურიელებმა** მოიწვიეს სუფსაში ქორიძე გალობის სასწავლათ.

რადგან სუფსის ეკლესიას მგალობლები არ ჰყავდა, სუფსაში იყო რკ/გზის სადგურის უფროსი და მისი თანაშემწეები – რუსები, მათი ცოლებიანათ. იცოდნენ გალობა და კვირადღეობით ეკლესიაში გალობდნენ რუსულად. ხსენებული გურიელები იყვნენ ნაციონალისტები, არ უნდოდათ ეკლესიაში რუსული გალობა ყოფილიყო, ამისთვის მოიწვიეს ეს გამოჩენილი მომღერალი და მასწავლებელი ქორიძე და სწავლობდნენ ქართულ გალობას.

როდესაც გურიელებმა ქართული გალობა შეისწავლეს, ერთ კვირა დღეს შევიდნენ ეკლესიაში. წირვა დაწყებული იყო და ხსენებული რუსები რუსულათ გალობდნენ. როცა მღვდელმა დაამთავრა თავისი ლოცვა, გურიელებმა დაასწრეს რუსებს და შემოსძახეს ქართული გალობა, რამაც ხალხი აღტაცებაში მოიყვანა.

ქორიძემ პარალელურად ჩამოაყალიბა მეორე წრე გლეხებისგან. დღისით გალობას ასწავლიდა თავადიშვილებს და ღამით კი გლეხებს. მათ შორის იყო ერთი ხარაზი **გაბრიელ სარჯველაძე.** იგი ძლიერ დაინტერესდა ქორიძისგან ნოტებიც კი შეისწავლა. ამ სარჯველაძისაგან ვსწავლობდით სიმღერას და გალობაც მისგან ვისწავლე.

როგორც მოგახსენეთ, მე სიმღერა და ჩანგური ვიცოდი, მაგრამ გამბედაობა ა რ

გვ–5

„სამუზეუმო მეხსიერების სალაროდან“

მქონდა, რომ გუნდისთვის ხელმძღვანელობა გამეწია. ამისთვის რკ/გზის გუნდი დაიშალა. 1932 თუ 1933 წ. მეგრელიძე გადაიყვანეს თბილისში. იქ ჰყავდა ქალთა ანსამბლი.

1936 წელს მეგრელიძემ წამიყვანა თბილისში და ჩამბარა ავჭალის შრომის კოლონიის ბავშვთა გუნდი. იქ მუშაობის დროს თვეში ვღებულობდი ხუთას მანეთს. ვიმუშავე სამი თვე. რა დავრწმუნდი, რომ მე შემიძლია გუნდის ხელმძღვანელობა, დავტოვე იქ სამსახური და წამოვედი იმ სუფსაში, სადაც პირველად საფუძველი ჩაეყარა ჩანგურის მასიურად დაკვრას. ჩამოვაყალიბე სუფსაში სოფლის კლუბთან არსებული მეჩონგურეთა ანსამბლი – სრულიად უსასყიდლოდ და ვმართავდი კონცერტებს სოფლებს და ქალაქებში საუკეთესო შედეგებით. იხ. გაზეთი „მგზნებარე კოლხიდელი“ 168, 24. VII.1937.

დღეს სამოცდათოთხმეტი წლის მოხუცი ვარ, მაგრამ ჩემი წვლილი მაინც შემაქვს ხელოვნებაში და დღესაც განვაგრძობ ამ საყვარელ საქმეს, რომელიც ა. მეგრელიძემ დაიწყო სოფელ სუფსაში 1927 წელს.

ილიკო კონსტანტინეს ძე გუჯაბიძე

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს ყველა იმ დაინტერესებულ ორგანიზაციასთან თუ პიროვნებასთან, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ძველი, საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი ან მივიწყებული ფოლკლორული მასალების მოპოვება – შეგროვებაზე. მათთან მჭიდრო კონტაქტების შედეგია ის, რომ ჩვენი დაარსებიდან, 2014 წლიდან დღემდე, უამრავი საინტერესო რამ გადმოგვეცა, რომელიც ჩვენი სოციალური გვერდის საშუალებით გავაცანით დაინტერესებულ საზოგადოებას, და დავაარქივეთ. ამ კუთხით ძალიან ნაყოფიერი გამოდგა ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმთან და კერძოდ ბ-ნ რუსლან ურუშაძესთან თანამშრომლობა. მან ადრევე მიაქცია ყურადღება და ჩვენც გაგვაცნო 1854 წლის 4 ივნისის ჩოლოქის ისტორიული ბრძოლის ეპიზოდები, რომელიც გაგრძელებაა ერთი კვირით ადრე, ოსმალებსა და ქართულ ლაშქარს შორის სოფელ შუხუთფერდთან გამართული შეტაკებისა. მიჩნეულია, რომ აქ დაიბადა გურული სასიმღერო ფოლკლორის ერთ-ერთი საუკეთესო მარგალიტი – „ხასანბეგურა“. იგი ხომ ამოხეთქვის დღიდან აღარ ჩამოდის საქართველოსა თუ უცხო ქვეყნების სცენიდან.

...ჩოლოქზე ტიტანური ძლევის პერიპეტიებიდან გამოვიყენეთ სიტყვები, რომელსაც თურმე გამარჯვებული ქართველი ჯარისკაცები გაიძახოდნენ; ამ მოტივებზე შევთხზეთ რამდენიმე სტროფიანი ლექსი, ხოლო სიმღერა დაწერა უნიჭიერესმა ახალგაზრდა ფოლკლორისტმა და კომპოზიტორმა, ბატონმა **ლევან ვეშაპიძემ**. ძალიან ლამაზი, გურულ-კრიმანჭულიანი ნიმუში, სახელწოდებით „ჩოლოქზე ნამღერი“ შარშან ზაფხულში, 4 ივნისს, სოფელ ჭანიეთში, ისტორიულ ლოკაციაზე პირველად დააგუგუნა ანსამბლმა „შემოქმედმა“ (ლოტბარი – ლაშა ჩხარტიშვილი).

ასე რომ, ურთიერთთანამშრომლობა ყოველთვის ნაყოფიერია და მას ალტერნატივა არ გააჩნია.

ავთანდილ სურგულაძე,
საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი

მოგზაურის გზა: ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ და გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული დღიურები"

1861 წელია და ილია იწყებს „მგზავრის წერილების“ წერას და... არ გაგიკვირდეს, მასზე მთელი 10 წელი 1871 თებერვლამდე მუშაობს საბოლოო რედაქციაზე. იმავე წლის 27 თებერვალს გაზეთ „დროებაში“ „ნიკ. დიმიტრიძის“ ფსევდონიმით იბეჭდება ნიკოლოზ ყიფიანის რეცენზია, რომელშიც საუბარია ჟურნალ „კრებულის“ პირველ ორ ნომერში გამოქვეყნებულ თხზულებებზე. განხილულია ილია ჭავჭავაძის „სცენები მიროვოი პოსრედნიკთან“ და „მგზავრის წერილები“. ნათქვამია, რომ მისი ნაწერები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს და რომ მათში ბევრი ისეთი საკითხია წამოჭრილი, რომელზე დაფიქრებაც გვმართებს.

მიზეზთა გამო წერილს სრულად მოვიტან. მარტო ის რად ღირს, ეპიგრაფად გრიგოლ ორბელიანის სიტყვები, რომ აქვს წამძღვარებული.

„ბიბლიოგრაფია

„კრებული“. პირველი და მეორე წიგნი.

...მიეცით ნიჭსა გზა ფართო, სტატია პირველი

ამ წელიწადს, როგორც მკითხველმაც იცის, გამოვიდა ორი წიგნი „კრებულისა.“ უნდა ვჰსთქვათ, რომ ეს ორივე წიგნი ისეთი ღირსებისანი არიან, რომ ჩვენს ღარიბსა და მიყრუებულ ლიტერატურაში გამაცხოველებელს საგანს შეადგენენ. ჩვენი ლიტერატურა ძრიელ სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს: ნაკლებათ გამოდის ჟურნალებიო, ან გაზეთები, ან წიგნები, ამაზე ლაპარაკი გადავსდვათ. უბედურება ეს არის, რომ რაც კი გამოდის ან რაც კი იწერება ქართულათ, იმასაც კითხვით ძალიან ნაკლებათ კითხულობენ. უბედურება ეს არის, რომ ლიტერატურა, არა თუ თავის უმაღლესს დანიშნულებას რასმე ვერ ასრულებს ჯერა, არამედ კითხვის ხალისსაც ვერ ჰბედავს ქართველ საზოგადოებაში.

***

იქნება ბევრი რამ კარგი და პატიოსანი დაწერილა, დიდი და მაღალი, ღირს-შესანიშნავი და ღრმა-აზროვანი, მაგრამ ბევრს წაუკითხავს ამისთანა ნაწერები, თუ არა, — ამას აღარავინ დასდევს. „საჭიროა თუ არა ჩვენთვის ქართული ენაო,“ „საჭიროა თუ არა ჩვენთვის ქართული ჟურნალი“, „ლიტერატურის მნიშვნელობა ჩვეშიო“, „თეატრის მნიშვნელობაო “ „ესტეტიკური, გონებითი და ზნეობითი გახსნა“, „განათლების მოძრაობაო და ამ გვარი „მიგნიტიკური“ და ღრმა-აზროვანი ნაწერები, ღვთის მადლით, ბლომათა გვაქვს დაბეჭდილი ჩვენს ჟურნალებში და გაზეთებში. იმ გრამ, აბა ისეთი სტატიები ჩამოსთვალეთ, რომელიც დიახაც წაუკითხავთ და ამასთანავე სხვა არ იყოს რა, მოსწონებიათ მაინცა. ერთი „სცენები მიროეოი პოსრედნიკთან “ და ერთიც კიდევ— რა? აღარაფერი.

„კრებულის“ გამომცემლებს, როგორც ვატყობთ, მოუწადინებიათ ისეთი საქმე, რომელიც აქამომდე ყველა მწერლებს და მთხზეელებს ავიწყდებოდათ: განულვიძოს მკითხველს სურვილი და ხალისი კითხვისა, შეაყვაროს ქართული წიგნის კითხვა. იმ ღრმააზროვანსა და „შიგნიტიკურ“ სტატიებსა, რომელიც ეს არის ჩამოვთვალეთ, ისეთი თვისება ჰქონდათ, რომ შეეძლოთ ყოველი მკითხველისათვის შეეძულებინათ ყოველი სტამბიდამ გამოსული წიგნი. „პრებულის“ ორი წიგნი ისე რიგათ არიან შედგენილნი, რომ ამათ გამომცემლებს ეტყობათ, რომ თავის მოწადინებულსა რიგიანათ აღასრულებენ.

***

ამ ორ წიგნში პირველი ადგილი უჭირავს სამს სტატიას: „სადღეგრძელო“ — თ. გრ. დიმ. ორბელიანისა, „მგზავრის წერილები“ —სამ წერტილიანი აეტორისა და „ვიბრი“— კომედია გ. წერეთლისა. ეს სამი თხზულება დაიჭერს პირველს ადგილს საზოგადოთ ჩვენს ლიტერატურაშიაც.

„სადღეგრძელოზედ“ უნდა ეთქვათ, რომ იმათ, ვისაც არ შეუძლიათ გარეგანი შეხედულობისა (ფორმისა) და შინაგანი თვისების ერთმანეთში განრჩევა, იმათ ჰგონიათ, რომ ეს თხზულება არის რუსული პოეტის ჟუკოვსკის — პოემის მიბაძვა (П?вець во стан? русскихъ войновъ). ჟუკოვსკის პოემა ითელება რუსულ ლიტერატურაში ძალიან სუსტ თხზულებათ და იმისი წაკითხვა თავიდამ ბოლომდინ ძნელია იმ მიზეზით, რომ ამ გაგრძლებულ პოემაში აზრი ნაკლებათ სუფევს. „სადღეგძელო“ თ. გრიგოლ ორბელიანისა სავსეა აზრითა და გრძნობით, ზოგიერთი სურათი ამ თხზულებისა უღვიძებს მკითხველს ერთს უმაღლესთაგანს გრძნობას და მოჰყავს მოძრაობაში ყოველი ჯერ არ გაყინული გულის პატრონი. ზოგიერთი ადგილი ამ თხზულებისა ზეპირათ დასასწავლელია ჩვენთვის. ზოგნი კი იძახიან, რომ ეს პოემა არის

მიბაძვა რუსის პოეტის ჟუკოესკის პოემისაო! არა, ეს თხზულება მხოლოთ ფორმით ემსგავსება ჟუკოვსკის პოემას, შინაარსი განსაკუთრებით ქართული (*) ამასთან უნდა დაუმატოთ, რომ თ, გრ. ორბელიანის თხზულებაში არის ორიოდე ადგილი, სწორეთ ჟუკოვსკის შესაფერი, სუსტი, მაგრამ, и солнце не безъ пятень.)

***

კრებულის მეორე წიგნში ბოლოს არის დაბეჭდილი „მგზავრის წერილები.“ ამ წერილების დამწერი არის ავტორი მშვენიერის პოემისა: „რამოდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“. ამის თქმა საკმაო იქნებოდა, ჩვენის აზრით, იმისათვის რომ ამ წერილებზედ ჩვენი მკითხველების ყურადღება მიგვექცია. მაგრამ, იმედი გეაქვს, მკითხველი არ დაგვემდურება უფრო დაწვრილებით რომ შევატყობინოთ ამ წერილების შინაარსი.

ავტორი „მგზავრის წერილების“ მოდის რუსეთიდამ საქართველოსკენ. რუსეთში მგზავრს ოთხი წელიწადი გაუტარებია.

„ის ოთხი წელიწადი, რომელიც სამძრკელს უდებს კაცის ცხოვრებას, რომელიც ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია სიბნელისა და სინათლის შუა, ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვინ კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა ჭკუის სავარჯიშებლათ, ვინც რუსეთში წასულა, რათა ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწიდია, რომელიც ყმაწვილი კაცის ტეინში და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა, მს კვირტი კიდევ ის კვირტი, რომლიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოდის და ძაღლ-ყურძენაცა, ნეტავი იმას, ეისაც ამ ოთხი წლისაგან გადებული ბეწვის ხილი ფეხთა ქვეშ არ ჩასტყდომია! ნეტა იმას, ვცსაც ეს ოთხი წელიწადი რიგიანათ. მოუხმარია!“

***

— მკითხველო, მივიხედ-მოვიხედოთ, შევხედოთ იმათ, ვისაც რუსეთში ოთხ-ოთხი ან მეტი ან ნაკლები წელიწადი გაუტარებიათ სწავლის შესაძენათ და ცხოვრებისათვის მოსამზადებლათ, მოეკითხოთ იმათ ანგარიში: რიგიანათ მოიხმარეთ ეს ოთხ-ოთხი წელიწადი თუ არა თქო? რას გვიპასუხებენ? ზოგმა იქნება გვითხრას, რომ დიაღ რიგიანათ მოვიიხმარეო, ეს ოთხი წელიწადი; კურსი შევასრულეო და ახლა წარმატებაში შევდივარ და ფულს ბლომათ ვიგებო; ამასთან ლაპარაკი ვიციო, მუსაიფი და საზოგადოებაში დროს გატარება, ტანცაობა, ქალებს მოესწონვარო და ხალხი პატივსა მცემსო.. ყოველი შეოალის პატრონი ნატრულობს: ნეტავი ჩვენი შვილიც ამისთანა გამოვიდესო. აი, ხომ ხედავთ, რომ კარგათ მომიხმარია ის ოთხი წელიწადიო — თარგი და პატიოსანი, ვიტყვით ჩვენცა, მაგრამ, ეს მითხარი, ყმაწვილო, იმ კვირტიდამ, რომელიც რუსეთში გატარებულ ოთხ წელიწადს გამოუკვანძაეს შენში, მშვენიერი მტევანი გამოსულხარ თუ არა? ერთი ეს მითხარი, ყმაწვილო, მოგვსლია აქეთკენ რუსეთიდამ მომავალსა ის ფიქრები, რომელიც აღელვებდა ჩვენს მგზავრსა და რომელნიც გამოხატული არიან „მგზავრის წერილების“ 195 და 196 გვერდებზედ? ან შენს დღეში მოგსელია კი მაინც როდისმე ეს ფიქრები! ბიკითხავს როდისმე შენი თავისათვის:

*„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანასაო და როგორ შემეყრება იგი. მეო, ან რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალსა და რას მეტყვის იგი მე? შევიძლებ, თუ არა, რომ ჩემს ქვეყანას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გაუადვილო“..*და სხვ.?

ამ გვარ ფიქრებს თავის დღეში არ შეუწუხებია შენი თავი, ჩემო განათლებულო ყმაწვილო. არა, შენ თავსა სხვა ფიქრები აწუხებდა, როცა შენი ქვეყნისაკენ მოდიოდი, შენ თავს ახლაც სულ სხეა ფიქრები აწუხებს: კეთილი ცხოვრება როგორ შევიძინო, დრო როგორ გავატაროო და სხვ.

მესამე წერილში გამოხატულია ერთი აფიცერი, რომელსაც შეხვდება მგზავრი ტანციაში და რომელსაც მგზავრთან ახირებული მუსაიფი აქვს განათლებაზედ და საზოგადო. სარგებლობის მოტანაზედ.

***

მეოთხე წერილში ჩვენი მგზავრი მოგვითხრობს, რომ იმ დღეს, როცა აფიცერი იმას ახირებულათ უხსნიდა განათლების მნიშვნელობას, იმ დღესვე წამოვიდა იმ სტანციიდამ და საღამოს სტეფან-წმინდას ამოვიდა. აქ გამოგვიხატავს მგზავრი მყინვარის სურათს და ადარებს დიდებულს და მყუდროსა, ცივსა და თეთრს შაზიეგის მთა! გიჟსა, შეუპოვარსა და დაუმონებელს მღვრიე თერგთან:

„თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა; იმითი ხარ კარგი, თერგო, რომ მოუსვენარი ხარ. აბა, პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბეთ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს! მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და ცეცხლის მიმცემი....

ნიკ. დიმიტრიძე.“

მოდი ისიც ვთქვათ, წერილის გაციფრულების მთელ პროცესს დედა ადევნებდა თვაალს. რომ დავასრულე, მომიბრუნდა და სინანულით მიტხრა. იცი გიო, ნათქვამი კი მაქვს, მაგრამ მაინც გეტყვი, საოცარი ზინა (ქალბატონ ზინა ღლონტზეა საუბარი, ჩემს მეუღლესაც ასწავლიდა წლების შემდეგ უკვე, თბილისში, მეც ნათქვამის გამეორება გამომივიდა..) მასწავლებელი მყავდა და ეს ადგილები ზეპირად ვიცოდი. ახლაც იცი ვამხნევებ და წერას ვაგრძელებ, საიდან თუ არა ილიას „მატიანედან“ ამოღებული ინფორმაციით:

„1871 თებერვალი. ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება მისი ლექსები: „ჩ... სას“ („უცხო თემის ყარიბ მთქმელსა...“) და „ახ, სად არიან სიჭაბუკევ...“, ასევე – „მგზავრის წერილების“ პირველი ოთხი თავი.“

ახლა კი, დროა, ერთი მოგზაურობა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ. წელი 1831. თვე ივნისი. რიცხვი. 9.

„გენერალ ნიკიტა პანკრატიევის ბრძანებით, თბილისიდან მიემგზავრება პეტერბურგში, კავკასიის კორპუსიდან საგანგებო ქვეითი პოლკისთვის შერჩეული ჯარისკაცების ნოვგოროდში ჩასაყვანად. აცილებენ მეგობრები. შედის სვეტიცხოველში და ემშვიდობება მეფე ერეკლესა და სხვა სახელოვან წინაპართა საფლავებს. აღწერს სამშობლოსთან განშორებით გამოწვეულ განცდებს. მცხეთაში ჩასვლისას წერილს იღებს ძმის, ზაქარიასგან, რომელიც იბრძვის ამბოხებული პოლონელების წინააღმდეგ. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ“. თქმა არ უნდა თბილისიდან პეტერბურგში გამგზავრებული გრიგოლ ორბელიანია...

მოგზაურობის ამბები და შთაბეჭდილებები გადმოცემულია გრიგოლ ორბელიანის დღიურებში, საერთო სათაურით „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“ . თავად ტექსტს მე გავეცანი 1959 წელს გამოსულ კრებულში „გრიგოლ ორბელიანი (1804-1883). კრებულს თან ერთვის ბატონების აკაკი გაწერელიასა და ჯუმბერ ჭუმბურიძის წერილები, რედაქტირებულია მათ მიერ და ახლავს შენიშვნები.

თავს უფლებას ვაძლევ და ჯუმბერ ჭუმბურიძის წერილიდან რამდენიმე ამონარიდს გთავაზობთ.

მენდეთ, მეტად საინტერესოა.

„მგზავრობა“ წარმოადგენს დღიურს, რომელიც პოეტს უწარმოებია 1831 წლის 9 ივნისიდან 1832 წლის 31 აგვისტომდე, იმ დროს, როდესაც მან მთავარ სარდლის გენერალ პანკრატიევის ბრძანებით კავკასიის კორპუსის დარჩეული ჯარისკაცები წაიყვანა პეტერბურგს „საგანგებო ქვეითი ჯარის პოლკისათვის“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გიო კილაძე

სულთათანა

ფრიდონ ჭანუყვაძე



არიან ადამიანები, რომლებიც ნათელ კვალს ტოვებენ ცხოვრების გზაზე, მხნედ, ენერგიულად, ღიმილით მიაბიჯებენ და სიკეთეს სთესავენ, ყველას სიყვარულს ჩუქნიან და თავადაც უხვად იღებენ. ასეთ ადამიანებს მიეკუთვნებოდა ფრიდონ ჭანუყვაძე.

40 ტკივილიანი დღე გავიდა მას შედეგ, რაც ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ლაბორატორიას გამოაკლდა ღვაწლმოსილი მეცნიერი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი **ფრიდონ ჭანუყვაძე.**

ფრიდონ ჭანუყვაძე თავისი ცხოვრების შინაარსიანი პერიოდი განვლო. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და გახდა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი. ხოლო 1985 წლიდან იგი მოღვაწეობდა დიაგნოსტიკურ ცენტრ „ანასეულში". იყო ცენტრ „ანასეულის" დირექტორის მოადგილე.

ფრიდონ ჭანუყვაძე აქტიურად მოღვაწეობდა მსოფლიო ბანკის და ეროვნული ფონდის სამეცნიერო პროექტებში. იყო შემსრულებელიც და ხელ-მძღვანელიც. 1977 წელს მან მონაწილეობა მიიღო მოსკოვში საერთაშორისო გამოფენა „ქიმია 77"-ში, ხოლო 1986 წელს იგი დაესწრო ნოვოსიბირსკში გამართულ ნიადაგმცოდნეობის საზოგადოების მე-8 ყრილობას. დიდია მისი წვლილი ორგანულ-მინერალური სასუქების „ცეო ტორფისა" და „ომსის" რეცეპტურის შემუშავებაში.

წავიდა ჩვენგან საუკეთესო ადამიანი, ოჯახის უფროსი, ძვირფასი მეუღლე, მამა, ჩვენი ერთგული მეგობარი, მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულებში.

ბატონო ფრიდონ, ჩვენ მუდამ გვემახსოვრებით თქვენი სიბრძნის, სიკეთის, გულწრფელი რჩევების და იმ სითბოსთვის, რომელსაც თქვენ მუდამ გა-სცემდით.

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ.

ცენტრ „ანასეულის" თანამშრომლები.

დუშა დარჩია

ორმოცი დღე გავიდა, რაც ქართულ პედაგოგიურ საზოგადოებას გამოაკლდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სილაურის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, უშრეტი ენერგიისა და ამაღლებული პასუხისმგებლობის მქონე, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, პედაგოგიური ნაღვაწით დამშვენებული ქალბატონი **დუშა დარჩია.**

დუშა მასწავლებელი ათეული წლების მანძილზე შინაარსიანი, ნაყოფიერი, კეთილშობილური მოღვაწეობით აღმზრდელებში გულის სითბოსა და სიყვარულს ანივთებდა. პედაგოგიურ კოლექტივში ურთიერთ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. მან ღირსეულად ზიდა მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი პედაგოგისა. მისი აღზრდილები პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებენ ამაგდარ პედაგოგს.

ღირსეული პედაგოგის, ქალბატონი დუშას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, აღზრდილების, უახლოესი ადამიანების გულებში.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ზეციურ საქართველოში.

სოფელ სილაურის საჯარო სკოლა; სპმთპ-ის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი ანასეულის თანამშრომლები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი **ომარ ილიას-ძე მუხაშავრია** და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ მედეა ჯანელიძეს, დავით, ნინო, ნანა მდინარაძეებს მეუღლისა და მამის **ანზორ მდინარაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს ტარიელ (გელა) არაშიძეს მამის **კარლო არაშიძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის რეგიონის კორესპონდენტი **ოთარ ვაჩიბერაძე** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს თამაზ და გია დარჩიებს დედის **შუტუ მგელაძე-დარჩიას** გარდაცვალების გამო.

ნოდარ დონაძე ოჯახით იუწყება **გური ცინცაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სკანვორდი



პასუხები:

ეგზისტენციალიზმი — ფილოსოფიური მიმართულება, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელია ჟან პოლ სარტრი — ეროვნული ბანკი; ეროვნული ფონდი; ეროვნული

წიგნის „საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

მეორე წიგნისათვის

სარგის კაკაბაძე

1. წყაროები. „საქართველოს ახალი ისტორიის (1801-1918)“ პირველ წიგნში (თბილისი, 2017) ჩვენ მიერ დამოწმებულია 1866-1904 წლებში განხორციელებული საყოველთაოდ ცნობილი კაპიტალური გამოცემა „Актысобранные Кавказскою Археографическоюк оммиссиею“. ამ გამოცემის 12 ტომიდან XIX საუკუნის 50-60-იან წლებს მხოლოდ 1904 წელს დაბეჭდილი მე-12 ტომი ეხება. მე-12 ტომში შესულია დოკუმენტები და მასალები, რომლებიც კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის მოღვაწეობის პერიოდს (1856-1862 წწ.) ასახავს.

XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ისტორიის აღდგენა შესაძლებელი ხდება დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაციებიდან, რომელთა შორის უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ოფიციალური გამოცემები, რომლებიც საქართველოში ბატონყმობის გაუქმების წესს განსაზღვრავდა. ამ დოკუმენტებიდან და მასალებიდან ზოგიერთი ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა, ხოლო რამდენიმე მეგრულადაც თარგმნეს და დაბეჭდეს. გამოცემულია სხვა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებიც, რომელთა ნაწილი სასამართლო სისტემას, ხოლო ნაწილი ადმინისტრაციულ მმართველობას ეხება ან ზოგადი ხასიათისაა და სხვადასხვა საკითხს მოიცავს.

XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს ისტორია ასახულია **მ. კოლხიდელის, გრ. გიორგაძის, ა. კ — ლის,მ. გაბრიჩიძის, ა. ოვიძის, შ. ჩხეტიას** დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაციებში.

XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესწავლა წარმოუდგენელია **ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ნოე ჟორდანიას, არჩილ ჯორჯაძისა** და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა ნაწერების საფუძვლიანი ანალიზის გარეშე. სწორედ ეს ნაწერები იძლევა ეპოქის არსში გარკვევის საშუალებას, შესაძლებელს ხდის, სწორად აიხსნას ბევრი ისეთი მოვლენა, ჯერ კიდევ პოლემიკის საგნად რომ რჩება მეცნიერებაში.

ეპოქის არსში გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ სხვადასხვა ხასიათის მასალას. ამ გამოცემთა შორის, პირველ რიგში, უნდა მოვიხსენიოთ ჟურნალი „ცისკარი“ (1857-1875), ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1863), გაზეთი „დროება“ (1866-1885), ჟურნალი „მნათობი“ (1869-1872), ჟურნალი „კრებული“ (1871-1873), ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“ (1877-1878), ყოველთვიური ჟურნალი „ივერია“ (1879, 1881-1885), სამთვიური ალმანახი „ივერია“ (1880), ყოველდღიური გაზეთი „ივერია“ (1886-1906), ყოველკვირეული გაზეთი „კვალი“ (1893-1904), ჟურნალი „მოამბე “(1894-1905).

2. სამეცნიერო ლიტერატურა. XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ისტორიის შესწავლით, XIX საუკუნის პირველი ნახევრისაგან განსხვავებით, რუსი ისტორიკოსები აღარ დაინტერესებულან. **სულხან ბარათაშვილს,** რომელიც რუსულ ენაზე წერდა **ბარათოვის** გვარით, ეკუთვნის შესანიშნავი გამოკვლევა 1854 წელს კახეთში იმამ შამილის ლაშქრობის შესახებ. ეს ნაშრომი ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1876 წელს, დაიბეჭდა. 1880 წელს ავტორის გვარის მითითების გარეშე გამოქვეყნდა აგრეთვე საინტერესო გამოკვლევა 1855 წელს გამართული ენგურის ბრძოლის შესახებ, ხოლო 1886 წელს — 1863 წელს საინგილოში მომხდარი ავკანყების შესახებ. 1906 წელს ბათუმში გამოიცა საინტერესო კრებული, რომელშიც დაიბეჭდა **ვასილი პოტტოს** გამოკვლევა ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლის შესახებ.

საქართველოს ახალი ისტორიის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა **ივანე ჯავახიშვილმა.** 1906 წელს მან რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“.

1907 წელს **სიმონ ესაძემ** რუსულ ენაზე ორ ტომად გამოსცა უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა კავკასიის რუსული მმართველობის შესახებ XIX საუკუნეში. ნაშრომი ემყარება მდიდარ საარქივო მასალას. ასევე მეტად საყურადღებო გამოკვლევას წარმოადგენს 1912-1920 წლებში რუსულ ენაზე გამოცემული **სიმონ ავალიანის** ოთხტომეული „გლეხთა საკითხი ამიერკავკასიაში,“ რომლის პირველი, მეორე და მესამე ტომები ოდესაში გამოიცა, ხოლო მეოთხე — თბილისში. 1913 წელს სიმონ ავალიანმა რუსულ ენაზე გამოსცა ბროშურა „ნარკვევები ამიერკავკასიაში გლეხთა საკითხის შესახებ.“ 1986 წელს სიმონ ავალიანის ოთხტომეულის დამატებად, მეხუთე ტომად, რუსულ ენაზე გამოიცა მისი ნაშრომი „გლეხთა საკითხი ამიერკავკასიაში.“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) დაიწერა ზოგიერთი საინტერესო წიგნი. 1920 წელს **სარგის კაკაბაძემ** გამოსცა „საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა“. დაახლოებით იმავე პერიოდში მომზადდა გამოსაცემად სარგის კაკაბაძის მნიშვნელოვანი გამოკვლევა „საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ.)“, რომელიც ცოტა მოგვიანებით, 1922 წელს, დაიბეჭდა. უშუალოდ საქართველოს ახალ ისტორიას ეძღვნება სარგის კაკაბაძის „საქართველოს ისტორია. 1783-1921“, რომელიც პირველად 1997 წელს, ხოლო მეორედ 2003 წელს გამოიცა. ძალზე მნიშვნელოვანია, სარგის კაკაბაძის მიერ განხორციელებული დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაცია, რომელიც იმერეთის სამეფოს გაუქმებას ეძღვნება.

1921 წლიდან საბჭოთა საქართველოში ახალი ისტორიის კვლევის ხელმძღვანელობა თავს იდო **ფილიპე მახარაძემ,** მან რუსულ ენაზე რამდენიმე ნაშრომიც გამოაქვეყნა: „საქართველო XIX საუკუნეში“ (1933 წ.), „რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები ამიერკავკასიაში“ (1927 წ.), „საქართველოში მუშათა და გლეხთა მოძრაობის ისტორიის ნარკვევები“ (თანაავტორი გიორგი ხაჭაპურიძე, 1932 წ.). ამ ნაშრომებით საფუძველი დაედო საქართველოს ახალი ისტორიის გაყალბებას. ფილიპე მახარაძე იმაზე მეტად სცოდავდა ჭეშმარიტებას, ვიდრე რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფია. ფილიპე მახარაძეს საქართველოს ახალი ისტორიის გაყალბებაში მხარი აუბა **გიორგი ხაჭაპურიძემ (პერაშკოვმა),** რომელმაც ქართულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომები: „გლეხთა მოძრაობანი საქართველოში XIX საუკუნეში“ (1932 წ.) და „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“ (1941 წ.), ხოლო 1931 წელს რუსულ და 1932 წელს ქართულ ენაზე — „გურიის აჯანყება 1841 წელს“. ფილიპე მახარაძისა და გიორგი ხაჭაპურიძის ნაღვაწის ფონზე საქართველოს ახალი ისტორიის ობიექტურად გაშუქების მცდელობა გამოიკვეთა **სიმონ ხუნდაძის** ნაშრომებში: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ (1927 წ.), „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“, (1927 წ.), „დიმიტრი ყიფიანი“ (1936 წ.), „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“ (1949 წ.).

XX საუკუნის 20-30-იან წლებში განხორციელდა დოკუმენტებისა და მასალების ისეთი პუბლიკაციები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ იშვიათ გამონაკლისთა შორის უნდა მოვიხსენიოთ **გრიგოლ გიორგაძისა** და **გიორგი ვოზალიშვილის** პუბლიკაციები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **გრიგოლ გიორგაძის** „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905“ (1928 წ.).

მართალია, **ივანე ჯავახიშვილს** 1906 წლის შემდეგ საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლა არ გაუგრძელებია, მაგრამ მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მის ნაშრომს „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, კონკრეტულად, ლავრენტი ბერიამ, იოსებ სტალინის ნების თანახმად, ქართველ ისტორიკოსებს დაავალა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა. სახელმძღვანელოს შექმნისათვის სამუშაოებს სათავეში ედგა **სიმონ ჯანაშია.** შედგა ავტორთა კოლექტივი **ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილისა** და **გიორგი ხაჭაპურიძის** შემადგენლობით. 1940 წელს 105 ეგზემპლარის ოდენობით გამოიცა ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებული 488-გვერდიანი ნაშრომი **„საქართველოს ისტორია. უძველესი ხანიდან ჩვენ დრომდე“.** სახელმძღვანელო უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე დაწერილი იყო ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მიერ, ხოლო XIX-XX საუკუნეები გიორგი ხაჭაპურიძეს ეკუთვნოდა. სახელმძღვან-ელოს მაკეტის განხილვისას აშკარა გახდა, რომ გიორგი ხაჭაპურიძის მიერ დაწერილი მონაკვეთი იმდენად სუსტი იყო, რომ მისი გამოქვეყნება არ შეიძლებოდა. ამიტომაც 1943 წელს დაიბეჭდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვან-ელოს ის ნაწილი (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე), რომელიც ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მიერ იყო დაწერილი. გიორგი ხაჭაპურიძემ თავისი გავლენა გამოიყენა და 1940 წელს დაწუნებული ნაშრომი (მაკეტის ბოლო ნაწილი) იმავე წელს ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით „საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორია“. ამ ნაშრომით ფილიპე მახარაძის მიერ დაწყებული საქართველოს ახალი ისტორიის გაყალბება გიორგი ხაჭაპურიძემ დააგვირგვინა.

საქართველოს ისტორიის ყველა მკვლევარი დიდადაა დავალებული **პაატა გუგუშვილისაგან,** რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლას. 1936 წელს პაატა გუგუშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევა „შელავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა საქართველოსა და ა. კავკასიაში 1822-1831 წწ.“ გამოკვლევაში დასმული საკითხების მეცნიერული შესწავლა პირველად სწორედ პაატა გუგუშვილმა დაიწყო. რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, ავტორმა კვლევა წარმართა არამარქსისტული მეთოდოლოგიით. მართალია, იგი იძულებული იყო ალაგ-ალაგ კარლ მარქსი და ვლადიმერ ლენინიც დაემოწმებინა, მაგრამ არსით ნაშრომი არის მაღალ დონეზე შესრულებული სამეცნიერო გამოკვლევა. ეპოქალურ მოვლენას წარმოადგენდა პაატა გუგუშვილის სქელტანიანი მონოგრაფია „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში“, რომლის პირველი ტომი გამოიცა 1949 წელს, ხოლო 1956 წელს — მეორე ტომი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესახებ ასეთი მაღალი მეცნიერული ღირებულების მქონე მონოგრაფია დღემდე არ გამოცემულა. ისტორიკოსები დიდად არიან დავალებული პაატა გუგუშვილისაგან მისი მონოგრაფიებისათვის „ქართული ჟურნალისტიკა“ (1941 წ.) და „ქართული წიგნი. 1629-1929.“ (1929)

ივანე ჯავახიშვილი

დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის **ალექსანდრე ფირცხალაიშვილის** გამოკვლევებს: „თბილისის ამქრების 1865 წლის გამოსვლის ისტორიისათვის“ (1940 წ.) და „ამიერკავკასიის ქალაქები“ (2002 წ.)

XIX საუკუნეში განათლების ისტორიის საკითხების კვლევას მიეძღვნა **ტრიფონ ხუნდაძის** რამდენიმე საინტერესო ნაშრომი, რომლებიც დღემდე არ კარგავს მეცნიერულ მნიშვნელობას.

საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **აბელ კიკვიძემ.** საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაკლის მიუხედავად, ყურადსაღებია მისი ნაშრომები: „საქართველოს ისტორია. XIX ს.“ (1954 წ.), „საქართველოს ისტორია (XIX-XX სს.)“ (1959 წ.) და „საქართველოს ისტორია. 1801-1890“ (1977 წ.). აბელ კიკვიძემ დიდი მუშაობა გასწია მანამდე უცნობი საარქივო მასალების მოძიებისა და გაანალიზების თვალსაზრისით და, რამდენადაც საბჭოთა ცენზურა საშუალებას იძლეოდა, უარყო XX საუკუნის 20-30-იან წლებში ფილიპე მახარაძისა და გიორგი ხაჭაპურიძის მიერ დამკვიდრებული ბევრი მცდარი დებულება.

სიმონ ხუნდაძის მიერ წამოყენებული და საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი ბევრი თვალსაზრისის დაცვას შეეცადა **ლეონიდე გორგილაძე** 1961 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული დოგმების აშკარად თუ შეფარვით უარყოფის თვალსაზრისით საინტერესოა **ალექსანდრე ბენდიანიშვილის** „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.“ (1980 წ.) და „საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში 1875-1917 წლებში“ (1982).

მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა შექმნა **კოტე ანთაძემ,** რომელიც საყურადღებო დოკუმენტებსა და მასალებზე დაყრდნობით XIX საუკუნის საქართველოში დემოგრაფიული პროცესების ობიექტურ სურათს აღადგენს.

რამდენიმე ქართველი ისტორიკოსის მიერ ღირებული ნაშრომების გამოცემა ვერ ცვლიდა საერთო სურათს: საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში მყოფი ათეულობით ისტორიკოსი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აგრძელებდა საქართველოს ახალი ისტორიის გაყალბების იმ ტრადიციას, რომელსაც სათავე XX საუკუნის 20-30-იან წლებში დაუდეს ფილიპე მახარაძემ და გიორგი ხაჭაპურიძემ. ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ საქართველოს ახალი ისტორიის (1801-1918) გაყალბების თვალსაზრისით მძიმე მემკვიდრეობა დატოვა. ცალკეული ისტორიკოსის ნაშრომებს რომ არ შევეხოთ, ისტორიის გაყალბების მასშტაბების შეცნობისათვის **„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“** რვატომეულის მეხუთე და მეექვსე ტომებიც საკმარისია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რვატომეულის მეხუთე ტომის ზოგიერთი თავი საკმაო მეცნიერული სიღრმითაა დაწერილი და განხილულ პრობლემებზე საყურადღებო ინფორმაციასა და დასკვნებს შეიცავს. სამწუხაროდ, დანარჩენი თავები საბჭოთა ისტორიოგრაფიის სტერეოტიპებს ეყრდნობა და ისტორიული პროცესის გააზრებისათვის გამოუსადეგარია. რაც შეეხება რვატომეულის მეექვსე ტომს, იგი ისტორიის გაყალბების კლასიკური ნიმუშია. იგივე ითქმის **„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის“** სამტომეულის პირველ ტომზე. ეს ორი გამოცემაც კმარა იმის დასტურად, თუ რა დონეზე ხდებოდა საქართველოს ახალი ისტორიის არა მარტო ცალკეული ფაქტისა და მოვლენის, არამედ მთელი ისტორიული პროცესის იდეოლოგიზება, როგორ იჩქმალებოდა გამოჩენილ მოღვაწეთა როლი საქართველოს ისტორიაში, როგორ იქმნებოდა ცრუგმირების გალერეა. ხშირ შემთხვევაში ავტორები, სხვადასხვა მოსაზრებით, იმაზე მეტად სცოდავდნენ ჭეშმარიტებას, ვიდრე ამას საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმი ითხოვდა, შესაბამისად, ავტორთა შინაგანი ცენზურა კიდევ უფრო ამძიმებდა მკაცრი საბჭოთა ცენზურის მიერ დაკანონებულ შეზღუდვებს.

ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის“ გამოცემით დიდ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის გააზრება ძნელი აღარ იყო, სამაგიეროდ, კვლავ გრძელდებოდა საქართველოს ახალი ისტორიის (1801-1918) გაყალბება. ამ ტენდენციამ თავი იჩინა **ნიკო ბერძენიშვილის, ვარლამ დონდუას, მამია დუმბაძის, იური კაჭარავას, გიორგი მელიქიშვილის, შოთა მესხიასა** და **პროკოფი რატიანის** ავტორობით 1958 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში, რომელიც საშუალო სკოლის VII-X კლასებისათვის იყო განკუთვნილი. სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე), რომლის ავტორები არიან **ნიკო ბერძენიშვილი, ვარლამ დონდუა, გიორგი მელიქიშვილი და შოთა მესხია,** დაწერილია ივანე ჯავახიშვილის სკოლის მიღწევებზე დაყრდნობით, ხოლო მეორე, 1801-1918 წლების ისტორია, არსებითად გაყალბებულია. იგივე ითქმის **პროკოფი რატიანის, აბელ კიკვიძის, იური კაჭარავასა** და **აკაკი სურგულაძის** ავტორობით 1962 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაზე“ (ტ. II).53 ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა 1960 წელს **იური კაჭარავას, ნიკოლოზ მახარაძის, ნიკოლოზ სტურუასა და აკაკი სურგულაძის** „საქართველოს ისტორიაში“ (ტ. III) და 1968 წელს გამოცემულ **ლუკა ციხისთავის, ილია მახარაძისა** და **მიხეილ ცერცვაძის** „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოებში. სამწუხაროა, რომ ნაყალბევი ისტორია რუსულ ენაზეც იბეჭდებოდა. 1968 წელს რუსულად გამოიცა **იური კაჭარავას, ნიკოლოზ მახარაძის, ნიკოლოზ სტურუას, აკაკი სურგულაძის, ცეცილია კალანდაძის, მირონ ქოჩიაშვილის, მაყვალა ნართმელაძისა** და **სანდრო ჩხარტიშვილის** „საქართველოს ისტორია“.

ვახტანგ გურული

გურიის რეგიონის მხატვართა საშემოდგომო გამოფენა გრძელდება

ალიონი. შემოდგომის მიწურულს, 29 ნოემბერს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრისა და გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის მრავალწლიანი თანამშრომლობის ფარგლებში შედგა გურიის რეგიონის მხატვართა საშემოდგომო გამოფენა.

მხატვრობა შემოქმედისთვის მისი პერესონის, ნააზრევის, სამყაროსთან დამოკიდებულების ემოციის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. ჯგუფურ გამოფენებში მონაწილეობა შემოქმედებითი ერთობის, შეხვედრების, დამთვალიერებელთან ურთიერთობის საუკეთესო სივრცეა. ამ ცენტრის საექსპოზიციო მიმართულების მთავარი მიზანიც სწორედ ესაა, რათა ხელოვანებმა სწორედ ამ ციკლის (საშემოდგომო, საგაზაფხულო)გამოფენებით შეინარჩუნონ შემოქ,მედებითი ფორმა და საზოგადოებას შესთავაზონ ახალი ნამუშევრები, რაც არის ამ გამოფენების მთავარი მახასიათებელი. ასევე მნიშვნელოვანია ახალი ავტორების წარდგენა. წლევანდელ ექსპოზიციაში გამოფენილია გურიის რეგიონში მოღვაწე 28 მხატვრის ფერწერასა და გრაფიკაში შესრულებული 70 მდე ნამუშევარი.

მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავჯდომარემ **თამაზ დარჩიამ,** მხატვარმა **ვახტანგ მამეიშვილმა,** ცენტრის ფონდების განყოფილების გამგემ, ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძემ.** მადლობა ყველა ავტორს მონაწილეობისთვის და რეგიონში სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში მხარდაჭერისათვის.

სტუმრად სოფელ მერიის სკოლაში

სოფელ მერიის საჯარო სკოლაში უკვე რამდენიმე წელია ფუნქციონირებს საინტერესო შეხვედრების სადარბაზო, რომელსაც ხელმძღვანელობს ამაგდარი პედაგოგი **ცოცი ბაბილოძე.**

ამჯერად სადარბაზოს სტუმრები ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლის მეექვსეკლასელები იყვნენ, რომლის დამრიგებელია მერიის სკოლის კურსდამთავრებული **თამარ ვოგატაძე.**

მუსიკის ,,მასპინძელსა მხიარულსა'' ფონზე შეხვდნენ სკოლის ეზოში სტუმრებს მოსწავლეები.აღმართეს საქართველოს დროშა და შესრულდა საქართველოს ჰიმნი.

სკოლის კლუბში, ურთიერთგაცნობის შემდეგ წაიკითხეს ლექსი ,,სტუმარი გურიაში'', რომლის შემდეგ გაისმა გურული ,,კრიმანჭული,'' რომელიც შეასრულა მუჯირის შვილთაშვილებმა ნიკოლოზ და კახაბერ მუჯირებმა თანატოლებთან ერთად.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა ქუთაისელი მოსწავლეების კლასის ხელმძღვანელის პირველი მასწავლებელი **ნუნუ ჭაბუკიანი,** რომელმაც ღონისძიების დასრულების შემდეგ სტუმრები მანდარინის ბაღში მიიპატიჟა.

საკვები ცენტრი „მოდერნი“ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

შპს „ვასაძის პური “ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

სს „იმედი“ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და გიწვევთ წინასაახალწლო ბაზრობაზე!

შპს „აისი +“ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და გთავაზობთ კომფორტული ავტობუსებით და მიკროავტობუსებით მომსახურებას თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სამტრედიის და სხვა მიმართულებით.
გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას.
შპს „აისი +“დირექცია.

წვიმა +3+6	წვიმა +4+7	წვიმა +3+8	მზე, +2+6	მზე, ღრუბელი +6+12	მზე, ღრუბელი +3+10	წვიმა +2+3
17 დეკემბერი	18 დეკემბერი	19 დეკემბერი	20 დეკემბერი	20 დეკემბერი	21 დეკემბერი	22 დეკემბერი
სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ორშაბათი